პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგრონEWS. ISSN 2346-8467
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL AGRONEWS. №12. 2025
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ АГРОNEWS. Roza.lortkipanidze@atsu.edu.ge

ქალაქ ქუთაისის ახალგაზრდობის პარკი - არსებული მდგომარეობა და მომავლის პერსპექტივები

DOI: https://doi.org/10.52340/agronews.2025.12.03

ეთერ ბენიძე
სსმკ, აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი, ქუთაისი, საქართველო
რამაზ კილაძე
სსმკ, აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესორი, ქუთაისი, საქართველო
ეკატერინა გუბელაძე
სსმკ, აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,,
ასოცირებული პროფესორი, ქუთაისი, საქართველო
დავით სინაურიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი, ქუთაისი, საქართველო

ქუთაისის „ახალგაზრდობის პარკი“ გასული საუკუნის მეორე ნახევარში გაშენდა. პარკის გეგმარება რეგულარულ სტილშია გადაწყვეტილი, ხოლო მცენარეული საფარის სივრცობრივ-მოცულობითი სტრუქტურა პასუხობს საქართველოს კლიმატური ზონისათვის მოთხოვნილ პირობებს და დადგენილ პარამეტრებს. 2024 წლის მონაცემებით პარკში იზრდება 36 ოჯახის, 55 გვარის, 62 სახეობის 5166 *ძირი მერქნიანი მცენარე, რომელთა უმეტესობის ასაკი 70 წელს აღემატება. ხეების დიდი ნაწილი კარგად არის განვითარებული, თუმცა აქა-იქ გვხვდება დაჩრდილულ პირობებში განვითარებული სუსტი ეგზემპლარებიც. მოზარდი მცენარეების 80% მარადმწვანეა, რაც მთელი წლის განმავლობაში მარადმწვანეობის ეფექტს განაპირობებს. პარკის ტერიტორიაზე ტემპერატურული პირობების კვლევამ აჩვენა, რომ ზრდასრული ხეებით შექმნილ კორომებში დაუჩრდილავ ადგილთან შედარებით ტემპერატურა თითქმის 6,3°C-ით ნაკლები იყო. ჩვენი რეკომენდაციით უნდა მოხდეს მცენარეების სანიტარული და დეკორატიული გასხვლები და ზოგიერთი ცუდად განვითარებული ეგზემპლარის ამოძირკვა (173 ძირი), პარკს უნდა შეემატოს წლის სხვადასხვა პერიოდში კოლორიტული ეფექტის მომცემი ხეები და ბუჩქები.*

2025 წლის შემოდგომაზე დაიწყო დასახელებული პარკის რეკონსტრუქცია. საჯარო სივრცეში დაიდო პროექტის სურათები, საიდანაც ჩანს, რომ პარკში უნდა განხორციელდეს მრგვალი ფორმის აუზის და სხვადასხვა ატრაქციონების მოწყობა, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს პარკის ცენტრალური შესასვლელის და მოედნის მოსაზღვრე თარგებზე არსებული მცენარეების რაოდენობის შემცირების, მით უმეტეს დიდი რაოდენობით ზრდასრული ხე მცენარეების დაუსაბუთებელი მოჭრის ხარჯზე: სასურველია ამ საკითხის განხილვაში ჩართულიყო ქალაქში დასაქმებული გამწვანების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები - მათ შორის ნიადაგთმცოდნეები, გარემოს დაცვის მუშაკები და ეკოლოგები.

საკვანძო სიტყვები: პარკი, მცენარე, გამწვანება, ხეები, გლობალური დათბობა, ადაპტაცია

ქალაქების გამწვანებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად სუფთა და კომფორტული სასიცოცხლო პირობების შექმნაში, რაც განსაკუთრებით აქტუალურია კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე. ქალაქების სივრცეში დიდი მნი-

შვნელობა პარკებს ენიჭებათ, რადგანაც აქ წლების განმავლობაში იქმნება გარკვეული ბიოცენოზები, რომლებიც მეტად მდგრადია გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ. გამომდინარე აქედან, ქალაქებში არსებული პარკების ტერიტორიაზე მოზარდი მერქნიანი მცენარეების კვლევა, მათი ბიოეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი მეტად აქტუალურია.

კვლევის ობიექტი ქუთაისის „ახალგაზრდობის პარკი“ იყო, რომლის ისტორია გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, როდესაც ელექტრომექანიკური ქარხნის ხელმძღვანელობამ შემოღობა მოსაზღვრე ტერიტორია და თავისი მუშა-მოსამსახურეებისათვის დასასვენებელი და გასართობი ადგილის შესაქმნელად პარკის პროექტის შექმნაში და გაშენებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იმჟამად ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო (შემდგომში) სოხუმში არსებული საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის) ინსტიტუტის პედაგოგები და კურსდამთავრებულები (ალექსანდრა ეთერია, აკაკი კერესელიძე, მალვინა ტყავაძე და სხვ). მოგვიანებით, 1961 წელს, ქუთაისის აღმასკომის დადგენილებით ელექტრომექანიკური ქარხნის პარკი ქუთაისის განათლების განყოფილებას გადაეცა და „პიონერთა პარკის“ სახელწოდებით იყო ცნობილი.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პარკს სახელი შეეცვალა და „მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი“ ეწოდა, მოგვიანებით კი „ახალგაზრდობის პარკი“. პარკის ფართობი თითქმის 8 ჰექტარია, გეგმარება კი რეგულარულ სტილშია გადაწყვეტილი. ტერიტორიას მთელ სიგრძეზე კვეთს ხეივანი, რომელიც კოლონადებიანი შესასვლელის წინ არსებული ნახევარწრიული მოედნიდან იწყება. დასაწყისში ცენტრალური ხეივნის სიგრძე თითქმის 100 მ-ია, სიგანე კი 17 მეტრი, რომლის შუაში 5 მ სიგანის რაბატია მოწყობილი. შემდეგ არის 90 მ დიამეტრის წრიული ფორმის სივრცე, ცენტრში 60 მ დიამეტრის მოედნით, რომელსაც ირგვლივ 10 მეტრის სიგანის ნახევარწრიული რაბატები და გზები მიუყვება (სურ. 1.).

მოედნის ცენტრში თავდაპირველად მრგვალი ფორმის საკმაოდ ლამაზი კლუმბა იყო მოწყობილი, რომელზეც დეკორატიული ბალახოვანი მცენარეები და ბუჩქები (ვარდები, ბზები) იზრდებოდნენ. მოგვიანებით აქ საციგურაო მოედანი მოეწყო (2003-2011 წლებში), ამჟამად კი აქ რკინის ღობით შემოსაზღვრული, ოთხკუთხედის ფორმის სივრცეა, სადაც სკედ ატრაქციონი იყო მოწყობილი (2014 წლიდან). მოედნის ცენტრალური ღერძის ორივე მხარეს, აღმოსავლეთით და დასავლეთით 4-4 რადიალური გზა არის, რომლებიც მოედანს პარკის შიგა სივრცეებთან აკავშირებენ.

პარკის ირგვლივ არსებულ ღობეს სამხრეთ-აღმოსავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის და დასავლეთის მხარეს მიუყვება 5 მ სიგანის მწვანე ზოლი, ძირითადად ჰიმალაის კედარის რიგობრივი ნარგავებით, რომელსაც შიგნიდან 5 მ სიგანის მოასფალტებული გზა მიუყვება. პარკის აღმოსავლეთ ნაწილში ასევე არის რადიალური გზების გადამკვეთი ერთი ცენტრალური ხეივნის პარალელური გზა.

ცენტრალური მოედნიდან სამხრეთით, პარკის ბოლომდე, გრძელდება 170 მ სიგრძის და 8 მ სიგანის ცენტრალური ხეივანი. პარკის სამხრეთ ნაწილში არის ცენტრალური ღერძის გადამკვეთი ორი გზა, რომლებიც ღობის მოსაზღვრე გზებს აკავშირებენ ერთმანეთთან.

პარკი მთელ პერიმეტრზე შემოღობილია რკინის მესერიანი ღობით, რომელიც აქა-იქ ჭიშკრებით არის გახსნილი (სურ. 2).

პარკში არის 1901 წელს აშენებული ორსართულიანი შენობა, სადაც ამჟამად პარკის ადმინისტრაციაა განთავსებული. ძველებურ ქართულ სტილშია გარემონტებული შენობის სარდაფი, სადაც ლიტერატურული ღონისძიებები ეწყობა, კერძოდ, პოეტების შემოქმედებითი საღამოები, მწერლებთან შეხვედრები, ახალი წიგნების პრეზენტაციები და სხვა.

რაც შეეხება ატრაქციონებს შეიძლება აღვნიშნოთ, რომ აქ ადრე ფუნქციონირებდა: საბავშვო რკინიგზა, მანქანების ატრაქციონი, კარუსელი, საქანელები ამჟამად მათი უმეტესობა არ ფუნქციონირებს. სრულიად დანგრეულია და ნაგვით დაფარული სივრცე, სადაც ადრე საბავშვო რკინიგზა იყო მოწყობილი. ახალი ატრაქციონებიდან ცენტრალური მოედნის აღმოსავლეთ ნაწილში არის „კარუსელი“, ასევე ბავშვთა სათამაშო სივრცე. უკიდურეს დასავლეთ ნაწილში კი „მანქანების ატრაქციონი“. ძველი ატრაქციონებიდან მუშაობს „საქანელები“, რომელიც პარკის აღმოსავლეთ მხარეს, ადმინისტრაციულ შენობასთან ახლოს მდებარეობს.

პარკის ბოლო მესამედ ნაწილში, შიგა თარგებზე მოწყობილია ბავშვთა სათამაშო მოედნები, სადაც სხვადასხვა სათამაშო მოწყობილობებია განთავსებული: განსხვავებული ფორმის და ზომის სასრიალოები, საქანელები, სავარჯიშო კედლები, გასაძრომები და ა. შ. ამავე ზონის დასავლეთ ნაწილში არის მშენებარე ახალი ობიექტი, რომელიც სავარაუდოდ კარუსელი უნდა იყოს. პარკის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით აშენებულია ღია „ესტრადა“.

პარკის შესასვლელში და ცენტრალურ ნაწილში არის მწერლების, საზოგადო მოღვაწეთა და მნიშვნელოვანი მოვლენების საპატივცემულოდ გახსნილი ხეივნები, კერძოდ: გიზო თავაძის ხეივანი, ზვიადის და მერაბის ხეივანი, ქართული ენის ხეივანი, რეზო ჭეიშვილის ხეივანი, ზურაბ კუხიანიძის ხეივანი, აკაკი წერეთლის ხეივანი, ანა კალანდაძის ხეივანი, ცისფერყანწელების ხეივანი, ოტია იოსელიანის ხეივანი, მშვიდობის ხეივანი, დუტა მეგრელის ხეივანი, ტიციან ტაბიძის ხეივანი, პატრიარქის სკვერი, ვეფხისტყაოსნის სკვერი - რომელთა დასაწყისში მწერლების და საზოგადო მოღვაწეთა ბიუსტები დგას.

პარკში მოზარდი მერქნიანი მცენარეების კვლევა განხორციელდა 2024 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე და 2025 წლის გაზაფხულზე. შესწავლილ და დადგენილი იქნა პარკში მოზარდი მერქნიანი მცენარეების ტაქსონომიური შემადგენლობა და რაოდენობა, მოხდა მათი ტაქსაციური შეფასება, განსაკუთრებით იშვიათი და მაღალი დეკორატიული თვისებების მქონე მცენარეების გამოვლენა, დაფიქსირება, ანალიზი და ა.შ.

კვლევამ აჩვენა, რომ პარკის ტერიტორიაზე მოზარდი დეკორატიული მერქნიანი მცენარეების ასაკი საშუალოდ 70 წელს აღემატება. პარკში იზრდება 36 ოჯახის, 55 გვარის, 62 სახეობის 5166 ძირი მერქნიანი მცენარე, მათგან წიწვოვანები არის: 4 ოჯახის, 9 გვარის, 10 სახეობის, 687 ძირი; მარადმწვანე ფოთლოვანი: 9 ოჯახის, 12 გვარის, 12 სახეობის, 3 325 ძირი; ფოთოლმცვენი ხე და ბუჩქი: 22 ოჯახის, 32 გვარის, 38 სახეობის, 1069 ძირი. პარკში ასევე იზრდება პალმები - 84 ძირი ჩინური მარაოს პალმა და 1 ძირი ფინიკის პალმა. ტერიტორიაზე წიწვოვანი მცენარეებიდან ყველაზე მეტი არის ჰიმალაის კედარი (324 ძირი) და

მარადმწვანე კვიპაროზი (306 ძირი), მარადმწვანე ფოთლოვანებიდან: იაპონური კვიდო (2 667 ძირი) და მბრწყინავი კვიდო (327 ძირი). ხე მცენარეებიდან დიდი რაოდენობით არის დიდყვავილა მაგნოლია (68 ძირი), მირზინისფოთლება მუხა (18 ძირი) და ცრუ ქაფურის ხე (7 ძირი.) ფოთოლმცვენი მცენარეებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით იზრდება: აღმოსავლეთის ჭადარი (295 ძირი) და შავი ვერხვი (57 ძირი). კვლევამ აჩვენა, რომ პარკში მოზარდი მცენარეებიდან 687 ძირი არის წიწვოვანი ხე მცენარე, ხოლო 3 410 ძირი მარადმწვანე ფოთლოვანი ხე, ბუჩქი და პალმა, რაც ჯამში 4 097 მცენარეს შეადგენს და აქ მოზარდი მცენარეების 80% შეადგენს - ეს პარკში მთელი წლის განმავლობაში მარადმწვანეობის ეფექტს განაპირობებს. იშვიათი და ეგზოტური მცენარეებიდან პარკში იზრდება: 1 ძირი ჩვეულებრივი ურთხელი, 22 ძირი ორნაკვთიანი გინკგო, 4 ძირი მშვენიერი კატალპა, 18 ძირი მირზინისფოთლება მუხა, 68 ძირი დიდყვავილა მაგნოლია.

პარკის შესასვლელის მხარეს ღობის გაყოლებაზე ძირითადად ჰიმალაის კედრების რიგობრივი ნარგაობა იზრდება. ეს მცენარეები განსაკუთრებით კარგად არიან განვითარებული, რასაც ხელს უწყობს მათი კარგი განათება. მცენარეების ღეროს დიამეტრი საშუალოდ 50-70 სანტიმეტრია, თუმცა გვხვდება 90-100 სმ დიამეტრის მქონე ეგზემპლარებიც (სურ. 3.).

პარკის შესასვლელი ცენტრალური ხეივნის შუაში არსებულ რაბატზე რიგობრივი ნარგაობის სახით იზრდება 12 ძირი ჩინური მარაოს პალმა, რომლის ორივე მხარეს ჩაის ჰიბრიდული ვარდებია დარგული. მოსაზღვრე გზების მეორე მხარეს გზების გაყოლებაზე, რიგობრივი ნარგაობის სახით, იარუსებად იზრდებიან: მარადმწვანე ბზის გასხლული ბუჩქები, ინდოეთის იასამანი და მარადმწვანე კვიპაროზის სვეტისებური ფორმა. აღნიშნული მცენარეებიდან ინდოეთის იასამანი, განსაკუთრებულ კოლორიტულ ეფექტს ქმნის მთელი ზაფხულის განმავლობაში თავისი იასამნის ყვავილის მსგავსი მოვარდისფრო-იისფერი ყვავილებით. მცენარე ლამაზია შემოდგომაზეც - მოწითალო ფერის ფოთლებით და ზამთარშიც - ირმის რქების მსგავსი ღეროებით (სურ. 4.).

ნახევარწრიული მოედნის ორივე მხარეს არსებული გზების შიგნით თარგებზე ხე მცენარეთა შერეული ნარგაობაა, სადაც ყურადღებას იქცევს დიდყვავილა მაგნოლიას ნარგავები 1-3 ძირის სახით. კორომებში ბევრია, მთრთოლავი და შავი ვერხვები, მბრწყინავი კვიდოს ნარგაობა, არის პიტოსპორუმის მცენარეებიც. ყველა თარგის კიდეზე, ბორდიურის სახით, დარგულია იაპონური კვიდო, ხოლო კუთხეებში სფეროს ფორმით გასხლული კეთილშობილი დაფნა.






სურ. 1. პარკის საერთო (ზედხედი); სურ. 2. პარკის ბოლო - 170 მ-იანი ხეივანი; სურ. 3. ჰიმალაის კედრების რიგობრივი ნარგაობა; სურ. 4. ცენტრალური ხედი შემოსასვლელის წინ არსებული რაბატი;

ადმინისტრაციის შენობის მიმდებარედ მერქნიან მცენარეთა მრავალფეროვანი და მჭიდრო ნარგაობაა, ტრადიციულად აქ ბევრია ჰიმალაის კედარი, მთრთოლავი და შავი ვერხვები, მბრწყინავი კვიდო, ტოტარას პოდოკარპუსი, ცრუქაფურის ხე. გარდა ამისა ამ მონაკვეთს შემოდგომაზე ალამაზებს იაპონური ნეკერჩხლები თავისი მოწითალო-ნარინჯისფერი ფოთლებით. აღნიშნულ კუთხეს განსაკუთრებულ კოლორიტულ ეფექტს და მიმზიდველობას ანიჭებს გაზაფხულზე მოყვავილე ჩინური გლიცინია, რომელიც შენობის აღმოსავლეთ მხარეს ხეებზე არის აყოლებული და ძალიან ლამაზია თავისი მტევანა, დაკიდული, ცისფერი ყვავილებით.

ცენტრალური მოედნის მოსაზღვრე თარგების და ოვალური ფორმის რაბატების გაყოლებაზე ბორდიურის სახით იზრდება იაპონური კვიდოს გასხლული მცენარეების რიგობრივი ნარგაობა, ხოლო მოედნიდან მიმართული რადიალური გზების მოსაზღვრე თარგების კუთხეებში თითო ძირი სფეროსებრად გასხლული კეთილშობილი დაფნებია. ბორდიურის გაყოლებაზე და ოვალური ფორმის რაბატებზე დარგულია ჩინური მარაოს პალმები. მოედნის მოსაზღვრე „მეგობრობის ხეივანი“-ს შიგნით მოწყობილია პერგოლა, რომელსაც ქმნის ტოტარას პოდოკარპუსის ივალურად გადახლართული ტოტები. მოედნის მოსაზღვრედ არსებულ ოვალურ რაბატებზე იზრდება რამოდენიმე ძირი მშვენიერი კატალპა.

ცენტრალური მოედნის სამხრეთი ნაწილი განსაკუთრებით მჭიდრო ნარგაობებით არის წარმოდგენილი. აქ არის სხვადასხვა სახის ხემცენარეების კორომები. ცენტრალური გზის სამხრეთი მონაკვეთის ორივე მხარეს იზრდება შავი ვერხვის და მარადმწვანე კვიპაროზის მორიგეობითი რიგობრივი ნარგაობა. მის გადამკვეთ მოსაზღვრე გზების გაყოლებაზე ბევრია ჰიმალაის კედარი. პარკის უკიდურეს სამხრეთ თარგებზე ძირითადად იზრდება აღმოსავლეთის ჭადრის, მთრთოლავი და შავი ვერხვების კორომები, ასევე გვხვდება ზღვისპირის ფიჭვის და ხეხილოვანი მცენარეების ერთეული ეგზემპლარები.

პარკი საკმაოდ ინტენსიურად არის გამწვანებული, მისი სივრცობრივ-მოცულობითი ორგანიზაცია შეესაბამება საქართველოს მდებარეობისა და კლიმატისათვის დაწესებულ მოთხოვნებს, სადაც დახურული სივრცეების ფართობი 65-70% უნდა იყოს, ნახევრადღია სივრცეების - 20-25%, ხოლო ღიას - 10-15% (ინფორმაციისათვის - გერმანიის, ინგლისისათ-

ვის ეს თანაფარდობა უნდა იყოს: დახურული სივრცეები - 30-40%, ნახევრადღია - 10-30%, ხოლო ღია - 50-70%)

პარკის სხვადასხვა თარგებზე ტემპერატურული პირობების კვლევამ აჩვენა, რომ ზრდასრული ხეებით შექმნილ კორომებში (განათებულობა 900-1100 ლუქსი) დაუჩრდილავ ადგილთან შედარებით (განათებულობა 10 000 ლუქსი) ტემპერატურა თითქმის 6,3^{0}C-ით ნაკლებია, რაც მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და მიუთითებს ქალაქისთვის პარკების დიდი მნიშვნელობაზე.

პარკის ტერიტორიაზე მოზარდი მერქნიანი მცენარეების კვლევამ აჩვენა, რომ აქ არსებულ კორომებში მცენარეები უმეტესად ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან დარგული, ისინი ჩრდილავენ ერთმანეთს, შედეგად ხდება კორომების შიგნით დარგული მცენარეების ზრდის შეფერხება, ქვედა ტოტების ხმობა. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია მოხდეს დაკნინებული და ნახევრად გამხმარი იერსახედაკარგული მცენარეების გამოხშირვა. საერთოდ პარკის თითქმის ყველა მცენარე საჭიროებს სხვლა-ფორმირებას. კვების არე ისეთი მცენარეებისათვის როგორიცაა კედრები, ჭადრები, ვერხვები იმდენად მცირეა, რომ არ აღემატება 5-8 მ^2-ს, რეალურად კი ეს სიდიდე 16-24 მ^2 უნდა იყოს. კვლევის შედეგად გაცემულ იქნა რეკომენდაცია ამოძირკვულ იქნას ტერიტორიაზე მოზარსი მცენარეების გარკვეული რაოდენობა, სულ 177 ძირი - ძირითადად დაკნინებული, თითქმის გამხმარი და თვითნათესად ამოსული მცენარეები (მათ შორის 27 ძირი მბრწყინავი კვიდო, 17 ძირი მარადმწვანე კვიპაროზი, 14 ძირი შავი ვერხვი, 6 ძირი სხვადასხვაფოთლება პიტოსპორუმი, 3 ძირი აღმოსავლეთის ჭადარი, 2 ძირი ტყემალი, თითო ძირი ვაშლი, ბალი, ტყემალი და სხვა).

2025 წლის შემოდგომაზე დაიწყო პარკის რეკონსტრუქცია. საჯარო სივრცეში დაიდო პროექტის სურათები საიდანაც ჩანს, რომ პარკში იგეგმება მრგვალი ფორმის აუზის და სხვადასხვა ატრაქციონების მოწყობა, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს პარკის ცენტრალური შესასვლელის და მოედნის მოსაზღვრე თარგებზე არსებული მცენარეების რაოდენობის შემცირების, მით უმეტეს დიდი რაოდენობით ზრდასრული ხე მცენარეების დაუსაბუთებელი მოჭრის ხარჯზე. სასურველია ამ საკითხის განხილვაში თავიდანვე ჩართულიყო ქალაქში დასაქმებული გამწვანების მაღაკლვალიფიციური სპეციალისტები, მათ შორის ნიადაგმცოდნეები და ეკოლოგები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კილაძე რ., გუბელაძე ე., ტყავაძე მ. დეკორაციული დენდროლოგია - დეკორატიული წიწვოვანი მცენარეები, წიგნი I. გამ. ი.მ. „მარიამ იობაძე“, 2023 წ., 332 გვ.
2. კილაძე რ., გუბელაძე ე., ტყავაძე მ. დეკორაციული დენდროლოგია - დეკორატიული ფოთლოვანი მცენარეები, წიგნი II, ნაწ. II. გამ. „ი.მ. მარიამ იობაძე“, 2024 წ., 330 გვ..
3. კილაძე რ., გუბელაძე ე., ტყავაძე მ. დეკორაციული დენდროლოგია - დეკორატიული ფოთლოვანი მცენარეები, წიგნი II, ნაწ. I გამ. „ი.მ. მარიამ იობაძე“, 2024 წ., 330

4. http://www.dissercat.com/content/ekologicheskaya-rol-zelenykh-nasazhdenii-v-zashchite-okruzhayushchei-sredy-ot-vozdeistviya-s#ixzz4V9YSFgGA - Экологическая роль зеленых насаждений в защите окружающей среды от воздействия стрессовых факторов города.

KUTAISI CITY YOUTH PARK - CURRENT STATUS AND FUTURE PROSPECTS

Eter Benidze
Candidate of Academic Sciences, Academic Doctor, ATSU, Associate Professor, Kutaisi, Georgia
Ramaz Kiladze
Candidate of Academic Sciences, Academic Doctor, ATSU, Professor, Kutaisi, Georgia
Ekaterina Gubeladze
Candidate of Academic Sciences, Academic Doctor, ATSU, Associate Professor, Kutaisi, Georgia
David Sinauridze
Georgian Technical University, PhD student, Kutaisi, Georgia

El "Youth Park" de Kutaisi se construyó en la segunda mitad del siglo pasado. Su trazado es regular, y la estructura espacio-volumétrica de la cubierta vegetal se ajusta a los parámetros de la zona climática de Georgia. Según datos de 2024, en el parque crecen 5166 plantas leñosas de 36 familias, 55 géneros y 62 especies, la mayoría de las cuales tienen más de 70 años. La mayoría de los árboles están bien desarrollados, aunque también hay ejemplares débiles que crecen en condiciones de sombra. El 80% de las plantas adultas son perennes, lo que determina su efecto durante todo el año. Un estudio de las condiciones térmicas en el territorio del parque mostró que la temperatura en las arboledas formadas por árboles adultos era casi 6,3 °C inferior a la de las zonas sin sombra. Recomendamos realizar una poda sanitaria de las plantas y eliminar algunos ejemplares poco desarrollados (173 raíces), así como añadir árboles y arbustos al parque que aporten un efecto colorido en diferentes épocas del año.

The reconstruction of the named park began in the fall of 2025. Images of the project were posted in public spaces, showing that a round-shaped pond and various attractions should be installed in the park, however, this should not be done at the expense of reducing the number of plants on the central entrance to the park and the borders of the square, especially at the expense of unjustified cutting down a large number of adult trees: it would be desirable to involve highly qualified specialists in landscaping employed in the city in the discussion of this issue - including soil scientists, environmentalists, and ecologists.

Keywords: Parque, planta, vegetación, árboles, calentamiento global, adaptación.

La ecologización de las ciudades es fundamental para crear condiciones de vida ecológicamente limpias y confortables para la población, lo cual cobra especial relevancia en el contexto del cambio climático global. Los parques son fundamentales en los espacios urbanos, ya que con el paso de los años se forman biocenosis que las hacen más resistentes a las condiciones ambientales adversas. Por lo tanto, el estudio de las plantas leñosas que crecen en los parques urbanos y el análisis de su estado son muy relevantes.

El objeto de estudio fue el "Youth Park" de Kutaisi, cuya historia se remonta a la década de 1950 del siglo pasado, en cuya creación y desarrollo participaron activamente profesores del Instituto Georgiano de Agricultura Subtropical, entonces ubicado en Sujumi.

La superficie del parque es de casi 8 hectáreas y su trazado es regular. Un callejón recorre toda la extensión del territorio, que parte de la plaza semicircular frente a la entrada con columnas. Al principio, el callejón central tiene 90 m de largo y 17 m de ancho, con un rebaje de 5 m de ancho en el centro. A continuación, se extiende un espacio circular de 90 m de diámetro, con un cuadrado de 60 m de diámetro en el centro, alrededor del cual discurren rebajes semicirculares y caminos de 10 m de ancho.

La valla que rodea el parque está rodeada por una franja verde de 5 m de ancho, principalmente con plantaciones en hileras de cedro del Himalaya, a la que sigue una carretera asfaltada de 5 m de ancho desde el interior. En la parte oriental del parque también hay una carretera paralela al callejón central, que intersecta caminos radiales. Un callejón central, de 170 m de largo y 8 m de ancho, se extiende desde la plaza central hacia el sur, hasta el final del parque. El parque está rodeado por una valla de malla de hierro, que se abre aquí y allá mediante puertas.

El parque cuenta con un edificio de dos plantas, construido en 1901, que actualmente alberga la administración. Anteriormente, funcionaban en el parque las siguientes atracciones: un carrusel, un tren infantil y columpios, pero la mayoría de ellas se encuentran actualmente fuera de servicio. Entre las nuevas atracciones se encuentran el carrusel y el columpio. Entre las atracciones antiguas, los columpios siguen funcionando. En el último tercio del parque, en las terrazas interiores, se han dispuesto zonas de juegos infantiles con diversos juegos. A la entrada del parque y en la parte central hay paseos dedicados a escritores, figuras públicas y eventos importantes.

Se realizó una investigación sobre el cultivo de plantas leñosas en el parque durante el verano-otoño de 2024 y la primavera de 2025. Se estudió la composición taxonómica y la cantidad de plantas leñosas que crecen en el parque, se evaluó su estado y se identificaron plantas con propiedades particularmente raras y altamente decorativas.

El estudio mostró que la edad promedio de las plantas leñosas ornamentales que crecen en el parque supera los 70 años. 5166 plantas leñosas de 36 familias, 55 géneros y 62 especies crecen en el parque, de las cuales las coníferas son: 4 familias, 9 géneros, 10 especies, 687 plantas; caducifolios siempreverdes: 9 familias, 12 géneros, 12 especies, 3325 plantas; árboles y arbustos caducifolios: 22 familias, 32 géneros, 38 especies, 1069 plantas. Las palmeras también crecen en el parque: 84 plantas de Trachycarpus fortunei y 1 planta de Phoenix dactilyfera. Las plantas coníferas más abundantes en el área son Cedrus deodara (324 plantas) y Cupressus sempervirens (306 plantas), mientras que las plantas perennes más abundantes son Ligustrum iaponica (2667 plantas) y Ligustrum lucidum (327 plantas). Las plantas leñosas más abundantes son Madnolia grandiflora (68 plantas), Quercus myrsinaefolia (18 plantas) y Cinnamomum glanduliferum (7 plantas). Las plantas caducifolias más abundantes son Platanus orientalis (295 plantas) y Populus nigra (57 plantas). El estudio mostró que, de las plantas que crecen en el parque, 687 son coníferas y 3410 son árboles caducifolios, arbustos y palmeras de hoja perenne, lo que representa un total de 4097 plantas y el 80 % de las plantas que crecen aquí. Esto determina el impacto de las plantas de hoja perenne en el parque durante todo el año.

El estudio mostró que la edad promedio de las plantas leñosas ornamentales que crecen en el parque supera los 70 años. 5081 plantas leñosas de 36 familias, 55 géneros y 62 especies crecen en el parque, de las cuales 4 familias son coníferas. En el lateral de la entrada del parque, en dos tercios, a lo largo de la cerca, crece una plantación en hileras de Cedrus deodara, principalmente. Estas plantas están

particularmente bien desarrolladas, lo que se ve facilitado por la buena iluminación. El diámetro del tallo de la planta es en promedio de 50 a 70 centímetros, aunque también se encuentran ejemplares con un diámetro de 90 a 100 cm.

En el borde, en medio del callejón central a la entrada del parque, 12 árboles de Trachycarpus fortunei crecen en una plantación en hilera, a ambos lados de la cual se planta Rosa de té híbrida. Al otro lado de las carreteras limítrofes, a lo largo de las mismas, en hileras, crecen en hileras: arbustos extensos de Buxus sempervirens, Lagerstroemia indica y Cupressus sempervirens en forma de columna.

Dentro de las carreteras, a ambos lados de la plaza semicircular, hay una plantación mixta de árboles; en las arboledas abundan Populus tremula, Populus nigra, Ligustrum lucidum y Pittosprum heterophillum.

A lo largo de los límites de la plaza central y los rebajes ovalados, crece una hilera de Ligustrum japonica formando un bordillo, y en las esquinas de los límites de las carreteras radiales que parten de la plaza, crece una hilera de Laurus nobilis en formas esféricas.

La zona sur de la plaza central está representada por plantaciones particularmente densas. Aquí hay arboledas de diversos tipos de árboles. A ambos lados del tramo sur de la carretera central, crece una hilera alterna de Populus nigra y Cupressus sempervirens. A lo largo de las carreteras que la cruzan, abunda Cedrus deodara.

El parque cuenta con una vegetación bastante intensa, y su organización espacial y volumétrica se ajusta a los requisitos de la ubicación y el clima de Georgia, donde la superficie de espacios cerrados debería ser del 65-70 %. Un estudio de las condiciones de temperatura en varias zonas del parque mostró que en las arboledas formadas por árboles adultos (iluminación de 900-1100 lux), en comparación con las zonas sin sombra (iluminación de 10 000 lux), la temperatura es casi 6,3 °C inferior, lo cual es un indicador importante que refleja la gran importancia de los parques para la ciudad.

The reconstruction of the park began in the fall of 2025. Images of the project were posted in the public space, showing that a round-shaped pond and various attractions are planned to be installed in the park, however, this should not be done at the expense of reducing the number of plants on the central entrance to the park and the borders of the square, especially at the expense of unjustified cutting down a large number of adult trees. It would be desirable to involve highly qualified specialists in landscaping employed in the city, including soil scientists and ecologists, in discussing this issue from the very beginning.